შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის
2017 წლის 18 ივლისის N200 ბრძანებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №4

LLC united water supply company of georgia
Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2020.07.16 18:01:30 +04'00'

კომისიის თავმჯდომარე:
დავით ჭანტურია - დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში

კომისიის წევრები:
ნატალია ხომასურიძე - დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში
ლევან ლატარია - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ნინო მაჩაიძე - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
სალომე ვაშაკიძე - რეპორტინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ლაშა ერქომაიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი

არ ესწრებოდნენ:
ირაკლი ნაფეტვარიძე - დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში
გიორგი ბრეგაძე - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

დღის წესრიგი:

შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების (CPV - 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვის მიზნით 2020 წლის 24 აპრილს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე NAT200007060 შეწყვეტის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის - ლაშა ერქომაიშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების (CPV - 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვის მიზნით 2020 წლის 24 აპრილს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT200007060, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით - 3`608`814.00 ლარი, დღგ-ს გათვალისიწნებით.

ასევე, მან კომისიის წევრებს გააცნო შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მოადგილის ტექნიკურ საკითხებში ირაკლი ნაფეტვარიძის 2020 წლის 15 ივლისის N1-57408 მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების ფარგლებში საჭიროა პროექტის კორექტირება და დამატებით 76 ოჯახის გათვალისწინება, რომლებიც დღეს არ ირიცხება შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' აბონენტებად და არასრულფასოვნად მიეწოდება სასმელი წყალი ხარაგაულის გამგეობის კუთვნილი ჭაბურღილებიდან. ამასთან, დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ძირულა-ჩუმათელათის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა, რაც სამომავლოდ გაართულებს წყალმომარაგების ქსელების დამატებით მოწყობას. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, მიმდინარე ტენდერის შეწყვეტა და პროექტის კორექტირება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ერთიანი გადაწყვეტილებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს მინიჭებულ უფლებამოსილებას და მიზანშეწონილად მიიჩნევს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა.

დაადგინეს:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად შეწყდეს დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების (CPV - 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი

სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვის მიზნით 2020 წლის 24 აპრილს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT200007060 და მიენიჭოს მას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ" ქვეპუნქტით განსაზღვრული შესყიდვის სტატუსი - „შეწყვეტილია".

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" შესაბამისად დაევალოს კომისიის აპარატს წინამდებარე კომისიის სხდომის ოქმის ატვირთვა სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე: _____ /დავით ჭანტურია/

კომისიის წევრი: _____ /ნატალია ხომასურიძე/

კომისიის წევრი: _____ /ლევან ლატარია/

კომისიის წევრი: _____ /ნინო მაჩაიძე/

კომისიის წევრი: _____ /სალომე ვაშაკიძე/

კომისიის წევრი: _____ /ლაშა ერქომაიშვილი/

N 1-57408
15/07/2020

57408-1-3-202007151801

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“
დირექტორს ბატონ გრიგოლ მანდარიას

ბატონო გრიგოლ,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) მიერ ტენდერების ელექტრონულ სისტემაში (განცხადების ნომერი NAT200007060) მიმდინარეობს დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის პროცესი. დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემა სრულიად ირიცხება „კომპანიის“ ბალანსზე გარდა 76 ოჯახისა, რომლებსაც არასრულფასოვნად მიეწოდება სასმელი წყალი ხარაგაულის გამგეობის კუთვნილი ჭაბურღილებიდან. ამასთან ერთად დაბა ხარაგაულში მიმდინარეობს ძირულა-ჩუმათელეთის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა, რაც სამომავლოდ გაართულებს წყალმომარაგების ქსელების დამატებით მოწყობას.

ზემოთ ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიმდინარე ტენდერის შეწყვეტა, პროექტის კორექტირება და 76 ოჯახისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოებში გათვალისწინება.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს შემდგომი რეაგირება.

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

ხელმძღვანელობა